სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

11 / აპრილი / 2024 წ.

KA080137997426824

№ **1124**

განკარგულება

შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

ტენდერის ნომერი: NAT210025911;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“ (ს/ნ: 404878405);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 7 და 18 მარტს წარმოდგენილ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 7 მარტის № MRDI-RDN2-15/2980 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 2327) და 2024 წლის 15 მარტის № MRDI-RDN2-15/3769 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 2545), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“-ის (ს/ნ: 404878405) მიერ NAT210025911 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 28 თებერვლის № 28-22 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის givigvaramia@yahoo.com მეშვეობით, 2024 წლის 22 მარტის № 948 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 28 თებერვალს, NAT210025911 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION"-მა (ს/ნ: 404878405) გააფორმეს № 28-22 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები გეგმა-გრაფიკის მიხედვით, წერილობითი დავალების მიღებიდან 10 თვეში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 3 897 563 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 31 მარტი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 7 მარტის № 2-05/3268 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა სამუშაოების დაწყება 2022 წლის 7 მარტიდან.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 5 მაისის № 2-05/7108 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა გადამჭრელი ზომების მიღება და მაქსიმალური მობილიზება ობიექტზე ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ამავე წერილით, მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 20 ივნისის № 2-15/9918 წერილის მიხედვით, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, კერძოდ, სამუშაოების სრულდებოდა დაბალი ტემპით ან საერთოდ არ მიმდინარეობდა, ასევე ობიექტზე მობილიზებული არ იყო საკმარისი რაოდენობის საბურღი აგრეგატები და შესაბამისი პერსონალი. ამასთან, 2023 წლის თებერვლის თვეში შესასრულებელი სამუშაოები შესრულდა არასრულად, ხოლო მარტის და აპრილის თვეებში სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციას არ წარდგენია. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.5. მიმწოდებლის 2023 წლის 27 ივნისის № 01/1511 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ ბურღვითი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულება შეუძლებელი იყო. ამასთან, არსებული საგადასახადო დავალიანების გამო მაისის თვიდან მოხდა მიმწოდებლის საქმიანობის სრული პარალიზება ყველა სამშენებლო ობიექტზე, თუმცა პრობლემა უკვე აღმოფხვრილი იყო და მიმწოდებელი ივლისის თვიდან შეძლებდა მაქსიმალური ტემპით ეწარმოებინა სამუშაოები ყველა ობიექტზე. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა 2024 წლის 30 აპრილამდე.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 31 ივლისის №2-15/12070 წერილის მიხედვით, 2023 წლის მაისის თვეში შესასრულებელი სამუშაოები შესრულდა არასრულად. ამასთან, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ შეძლო სამუშაოების სრულად შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.7. მიმწოდებლის 2023 წლის 26 სექტემბრის № 01/1530 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2024 წლის 30 აპრილამდე გაგრძელება.

4.8. მიმწოდებლის 2023 წლის 22 დეკემბრის № 01/1547 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 6 თვით.

4.9. მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტებით, დაკორექტირდა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 30 ივნისი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2024 წლის 31 მაისი.

4.10. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 4 მარტის № MRDI-RDN2-15/2815 წერილის მიხედვით, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე სამუშაოების წარმოების ტემპი სამუშაოების დაწყებისთანავე არადამაკმაყოფილებელი იყო და სამუშაოები ხშირად იყო შეჩერებული. არაერთი გაფრთხილებისა და სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკის, პერსონალისა და სამშენებლო მასალების მობილიზების სისტემური მოთხოვნის მიუხედავად, მიმწოდებელმა სამუშაოები სრულად ვერ შეასრულა (რაც ასევე დასტურდება საზედამხედველო ორგანიზაციის არაერთი ინსპექტირების ანგარიშით და წერილით). ამდენად, ამავე წერილით, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.11. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, შესრულდა 841 218,17 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 22%).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. ამასთან, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, არ არსებობს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამომრიცხავი გარემოებები და მიმწოდებელმა სახელშეკრულებო ვადების არაერთხელ გაზრდის მიუხედავად ვერ დაასრულა სამუშაოები. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულდა შესასრულებელი ვალდებულებების 22%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“ (ს/ნ: 404878405) 2024 წლის 12 აპრილს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე